ქართული ხალხური სიმღერა - სტრესის დაძლევის სტრატეგიები

გიორგი ხუხუნაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ქართული ხალხური სიმღერა წარმოადგენდა ყოველდღიური ყოფის აუცილებელ ნაწილს. იგი თანმხლები იყო სხვადასხვა მიშვნელოვანი საქმიანობისა და გავლენას ახდენდა როგორც მსმენელზე, ისე მომღერალზე. მისი საშუალებით მკურნალობდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ, ურთიერთობდნენ, გამოხატავდნენ საკუთარ სიხარულს თუ მწუხარებას. დღესაც დიდი ადგილი უკავია ამ სიმღერებს ადამიანთა ცხოვრებაში.

ქართული ტრადიციული მუსიკის თვისებები და მისი დანიშნულება მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობს. გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრებები, ცალკეულ ჟანრებთან დაკავშირებული ნაშრომებიც არის შექმნილი, მაგრამ მთლიანობაში, ქართული ტრადიციული მუსიკის გავლენა პიროვნების ჩამოყალიბებაზე, საგანგებოდ არავის შეუსწავლია.

საკითხის დამატებით შესწავლა და კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ორი კუთხით. ერთის მხრივ, იგი ხელს შეუწყობს სიმღერასთან დაკავშირებული პროცესების უკეთ ახსნას აწმყოსა თუ წარსულში, რაც სხვადასხვა დარგის მეცნიერის კვლევის საგანია. მეორეს მხრივ კი შესაძლებელია გამოკვეთოს მისი ახლებურად გამოყენების პერსპექტივები, კერძოდ, ფსიქოთერაპიაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ორი ეტაპისგან შედგებოდა და გააჩნდა შემდეგი მიზნები:

- კავშირის შემოწმება ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ბაზისურ არქეტიპულ პერსონაჟებს შორის;
- მომღერალი და არამომღერალი მოზარდების მიერ არჩეული სტრესის დაძლევის სტრატეგიების დადგენა და შედარება.

კვლევის შედეგად დადგინდა:

- ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ბაზისურ არქეტიპულ პერსონაჟებს შორის არის მჭიდრო კავშირი;
- ქართული ხალხური სიმღერების აღქმა არის მსგავსი ქართულ პოპულაციაში;
- სიმღერის, როგორც ქცევის ფორმაში ჩართულობის ხანგრძლივობა მომღერალ მოზარდებში, ზრდის სტრესული სიტუაციისადმი ემოციური დამოკიდებულების შეცვლაზე ორიენტირებული დაძლევის სტრატეგიების გამოყენების სიხშირეს.

ჩემი მცდელობა წარმოადგენს კვლევის პირველ ეტაპს, რომელიც ემსახურება ზოგადი სურათის წარმოჩენას და პერსპექტივების გამოკვეთას. საკითხის უკეთ

შესწავლამ შესაძლოა მოგვცეს საშუალება შეიქმნას ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ ენასა და ჰოლისტურ, ჩარევის მთლიანპიროვნულ გაგებაზე დაფუძნებული ფსიქოთერაპიული კურსი. ამ იდეის განხორციელება კი ხელს შეუწყობს როგორც ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას და უკეთ გააზრებას, ისე ფსიქოთერაპიის ახალი მიდგომების განვითარებას.